



შირაკი

SHIRAKI

გამოცემა 1937 წლიდან

ავტომუსიკურის მუნიციპალიტეტის გაზიარება

№18 (10.074)

27 მაისი—3 ივნისი 2023 წელი

ფასი: 60 თათრი

ყოველი კრისტენი გამოცავა

მარათ და ყვალგან საქართველოს, ხა ვარ შეთანა...

26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის აქტი და ჩამოაყალიბა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა. სახელმწიფოს პოლიტიკური მმართველობის ფორმად აღიარეს დემოკრატიული რესპუბლიკა; შეიქმნა ევროპული ტიპის ქართული სახელმწიფო ბრიობა, დემოკრატიული სისტემა.

საქართველოს დამოუკიდებლობას იმთავითვე მტრულად შეხვდა ბოლშევკიური რეჟიმი, რომელი მიზანს წარმოადგენდა რუსეთის ყოფილი იმპერიის აღდგენა. 1921 წელს საქართველოში წითელი არმია შემოიჭრა და ქვეყნის ანექსია მოახდინა. საქართველოს მთავრობა და დამფუძნებელი კრების უმრავლესობა ემიგრაციაში წავიდა.

1991 წლის 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმის შედეგად, მოსახლეობის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ქვეყანამ დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსი დაიმრუნა. 1991 წლის 9 აპრილს ძალაში შევიდა საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

26 მაისს დედოფლისწყაროს მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა მანანა მაჭარშვილმა ისაუბრა 26 მაისის, როგორც დამოუკიდებლობის დღის მნიშვნელობაზე და 1918-1921 წელის ისტორიული რაკურის შესთავაზი საზოგადოებას.

ბიბლიოთეკარებმა თინათინ ელაშვილმა და ლია ქადაგიძემ გაისხენეს ქართველი გმირები: ექვთიმე თაყაიშვილი და მისი განძი, ისტორიული გმირები, რომელთა თავგანწირვამაც მოგვიყვანა დღემდე; ერეკლე მეფეზე, ქაქუცა ჩოლოცაშვილზე, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავაზე მოხსენებები წაიკითხეს მოსწავლეებმა: ლალა ჩოლიკაშვილმა, ლიკა ჯინაშვილმა და თეკლა ნატროშვალმა.

პატრიოტული ლექსები წაიკითხეს მარიამ სამუკაშვილმა, ნიკოლოზ ხოსიტაშვილმა, დაწი ნატროშვილმა, თუმცა, ყველაზე შთამბეჭდავი მაინც ნორჩი ალექსანდრე თარხნიშვილის მიერ წაეთხული ვაჟა-ფშაველას ლექსი „არწივი“ აღმოჩნდა. ედომუშაოს საქართველოს მუნიციპალიტეტის პამლეკ გონაშვილის სახელობის ხალხური სიმღერისა და გალობისა სკოლის გუნდმა (ლოტბარი: ნიკა შანბაშვილი) შეასრულა ხალხური სიმღერა „3000 წელზე მეტი“.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი: „გილოცავთ ყველას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 105 წლისთავს! 32 წელი გავიდა, რაც კომუნისტური რეჟიმი წარსულს ჩავპარეთ და მიხარია, რომ ახალგაზრდების დიდი ნაწილი დამოუკიდებელ საქართველოში არის დაადებული და მათთვის უცხოა განცდა, თუ რას ნიშავს სხვა ქვეყნის ბატონობა. ქართველი კაცისთვის ყველა-



ზე სანუკვარი ღოცება სწორედ ეს იყო და არის. ჩვენს მუნიციპალიტეტში უკვე წლებია, ლამაზ ტრადიციად

ჩამოყალიბდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნას ვიწყებთ ბიბლიოთეკიდან ასე, აკადემიურ სტილში. შესაძლოა, ზოგიერთისთვის ეს მოძველებული ტრადიციაა, მაგრამ ვფიქრობ, ეს ასე არაა. ბიბლიოთეკა არის სწორედ ის ადგილი, სადაც წიგნთან ერთად შეიძლება გადაიმეოროს საქართველოს ისტორია და პატრია მონაწილეებისგან მოისმინო პატრიოტული ლექსები. როცა ალექსანდრესანირი მომავალი თაობა გვეზრდება, იმედი გვეძლევა, რომ არასოდეს გადავშენდებით!“

სეგზარ პაპიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: „მთელი ჩვენი ისტორია იყო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ოდითგან-დღემდე. თავისუფლების იდეას ეწირებოდნენ თაობები. მე ძალიან ბედნიერი ვიქენი, თუ ჩვენი მომავალი თაობა იცხოვებს დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოში. მართალია, დღეს საქართველოს 20% კვლავ ოუბირებულია და ამიტომ ვამბობთ, რომ საქმე ბოლომდე მიყვანილი არაა, მაგრამ ქვეყანას ჰყავს ისეთი მთავრობა და მთავრობის მეთაური, რომელიც ყველაფერი გააკეთებენ იმისთვის, რომ გაერთიანებული საქართველო დაუტოვონ მომავალ თაობას!“

ლონისხება საქართველოს პიმნით დასრულდა. „ეს დღე ჩვენი“—ამ სლოვანით ჩატარდა ლონისხებების სერია დედოფლისწყაროში, რომლის პოლო აკორდიც იყო ქალაქ დედოფლისწყაროს კულტურის სახლში ჩატარებული საზომო კონცერტი ადგილობრივი თეატრომებიდან კოლექტურებისა და შემსრულებლების მონაწილეობით, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 105 წლისთავს მიეძღვნა.



დედოფლისწყაროელი მოჭადრაკეების
მორიგი წარმატებული ასპარეზობა

22-23 მაისს, ა(ა)გვ „სპორტის განვითარების ცენტრის“ ორგანიზებით და სიღნალის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ქალაქ სიღნალში, ჭადრაკის სკოლაში ომარ კოკოლიშვილის სახელობის საჭადრაკო ტურნირი გაიმართა. რეგიონალურ საჭადრაკო ტურნირზე 5 მუნიციპალიტეტიდან სულ 20 ბავშვი მონაწილეობდა.

დედოფლის სწყაროს ჭადრაკის კლუ-
ბის სახელით ტურნირში ასპარეზობდა 3
ნევრი: 9 წლის სალომე კვინინაშვილი, 8
წლის მათე მარტყოფლიშვილი, 8 წლის
ნიკოლოზ იაკობიშვილი. ტურნირი ორი
დღის განმავლობაში მიმდინარეობდა,
სადაც მთავარი მსაჯი კახეთის ჭადრა-
კის ფედერაციის გენერალური მდივანი
და დედოფლის სწყაროს ჭადრაკის კლუ-
ბის ხელმძღვანელი გიორგი კიკილაშვი-
ლი გახლდათ.

კალიტეტის ხარძობადგენელს. ეს საკ-
მაოდ კარგი შედევია, იმის ფონზე, რომ
ტურნირში მონაბილეობდნენ 12 ნლის
საქართველოს სამი ჩემპიონი. ამის
მოუხედვად მათებ საკმაოდ კარგად
ისპარება და ტოლი არ დაუდო მონინა-
ალმდევებს. 9 ნლის სალომე კვინინაშ-
ვილმა დაიკავა მესამე საპრიზო ადგი-
ლი. თუმცა, თანაბარი ქულების ფონზე,
მანაც მხოლოდ კოეფიციენტით დაუთმო
ვერცხლის მედალი მეორე ადგილოსანს.
ეს სალომესთვის პირველი ზარმატებაა,
მესამე ადგილი მისთვის საკმაოდ დიდი
სტიმული იქნება მომავალ საჭადრაკო
ცხოვრებაში. რაც შექება ნიკოლოზ
იაკობიშვილის გამოსვლას. მან მხოლოდ

აინყო ჭადრაკზე სიარუ-
მომდინარე, ეს ტურნირი
ადგენდა მოსამზადებელ
ის წარმატებებისთვის" -
„შირაქთან“ საუბრისას
როს ჭადრაკის კლუბის
გიორგი კიკილაძეილმა.
აქართველოს ჭადრაკის

ნერიალური მდივანი ნანა ძრაკის ფედერაციის ვიცე-კაია გიორგაძე, კახეთის ალური ჭადრაკის ფედერაციის გიორგი ბუნიაშვილი გიორგი ქევხაშვილი და მერის დავით დურგლამვილი, ილი და ომარ კოკოლიშვილები ესწრებოდნენ. ვეიკარიული სისტემით, თორმეტ წლამდე ასაკის ენიორებს შორის მიმდიარვებული ბავშვები და ებით, სიგელებით და მეულმა სტუმრებმა და ადვილითმართველობის წარ-დაჯილდოვეს.

კავკითაონის ცენტრის
მით, გამარჯვებულ მო-
ლადი ჯილდოები გადაე-
ფიდი სიხარულით აღინიშ-
ების მკვიდრამა, 7 წლის
ა ევროპის ჩემპიონატზე 9
დან 8 ქულა დააგროვა და
ოზიონი გახდა. კახეთის
ოლო 20 წლის განმავლო-
ებულს ადგილი არ ჰქონია და
ულებია მსგავსი შედეგი

უკანასკნელი
სატურა გვერდი



გმირების ოჯახებს მერიამ 1000 ლარი გამოუყო

დეონიულის წყაროს მუნიციპალიტეტი
დან საქართველოს ტერიტორიული მთლია-
ნობისთვის დაღუშული გმირების ოჯახებს
1000 ლარიანი ერთჯერადი ფულადი დახმა-
რისტი გადასახ

ოურა გადაუცათ. დედოფლისნებაროს მერია ამ თანხას აგვისტომძი გასცემდა ხოლმე, თუმცა, ბოლო რამდენიმე წელია საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით არაუგრძის.

ით გაიცერა.
როგორც დედოფლისნებრივის მერიის
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალუ-
რი მიმსახურების სამსახურის უზრუნვე

მასწავლებლები გამოცდის გარეშე სტატუსს გენარ მოიპოვებენ

ჩვენთვის მნიშვნელოვანია გაანალი-

„სპორტის მონიტორინგის გადალებაშიც ულის,
თავისუფლების ძირის გაზიარები“

„უმთავრეს ეროვნულ დღეს ვულოცავ ყველას, ვისთვისაც დღევანდელი დღე და სამშობლოს თავისუფლება ეროვნულ ხია-მაყესთან, პირად ლირსებასთან და ბედნიე-რებასთან ასოცირდება”, - ამის შესახებ სა-ქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა დამოუკიდებლობის დღი-სადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, 1918 წლიდან, პირველი დამოუკიდებლობის შემდეგ ხანმოკლე დროში ქართველმა ხალხმა და მისმა მთავრობამ დასაცლურ ფასეულობებზე დაფუძნებული ეკროპული სახელმწიფოს საფუძვლები შექმნა, 1991 წელს საბოლოო უკანონობის ერთონობის უმრავესობის მქონე ჩვენი ქვეყნის მთავარ გეზად ეკროპული სახელმწიფოს შენება განისაზღვრა, ამით ჩვენს დროში განვიახლეთ სვლა ცველა თაობის უზნაესი მიზნისკენ, თითოეული მოქალაქეს, მთლიანად ქართველი ხალხის საქართველოს თავისუფლებისთვის“.

ლონდ აღდგენილი ეროვნული დამოუკიდებლობა კი ამავე ლირებულებებს დაეფუძნა.

„დღეს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ, ჩვენს ნადვილ მეგობრებთან, პარმინორებთან ერთად ჩვენი ისტორიის სრულიად განსაკუთრებულ, თითოეული ჩვენგანის თვის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას აზრის მიხმარება საკრიტიკო-კონსაკრიტიკული მოვლენას მისამართის მიზანით.“

„თავისუფლების იდეალი ისტორიის ყველა ეტაპზე იყო ჩვენი მრავალათან სამოგადოებრივი ცხოვრების, ქართველთა ყოველდღიურობის უმთავრესი განმსაზღვრელი. ჩვენ უძველესი ქრისტიანული ქვეყანა ვართ, სადაც დვთის სიტყვას თვით იესო ქრისტეს მოციქულები ქადაგებდნენ; საუკუნეებია ჩვენს განვითარებას სწორედ სახარისებრობით და საკონსაკრიტიკო მოვლენათა განვითარებით.“

ვ წევინდობთ - საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. 105 წელი შეირულდა მას შემდეგ, რაც საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხასიათის სახით მიმდინარეობდა.

რესპუბლიკის ხელისუფლებად სახელმწიფო გვირით და მასში დაღვენებლობის აღდგენა გამოაცხადა. უმთავრეს ეროვნულ დღეს ულოცავ ყველას, ვისთვისაც დღევანდველი დღე და სამშობლოს თაგისუფლება ეროვნულ სამართლისათვის. პირად ორისაგისა- მოგროც თავიორობა ექთავორნა აპიშანის, საქართველო არის ვატებანგ გონიერის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, მეფე ერეკლეს ქვეყანა და სწორედ ამიტომ განსაკუთრებულ ფასი აქვს თავისუფლებას.

დადეთ სამშობლოს ერთგულების ფიცი. ასევე მაღლიერების გრძნობით ვულოცავ ჩვენს უცხოელ მეგობრებს, სტრატეგიულ პარტნიორებს, ვინც დღეს ჩვენთან ერთად ზეიმობს დამოუკიდებლობის დღეს. მათი თანადგომა ჩვენთვის ფასდაუდებელია. ქვირფასო მეგობრებო, სიამაყით ვიხსენებთ ყველას, ვინც თაობიდან თაობას გადასცემდა თავისუფლების სიყვარულს, კიდევ ერთხელ ქედს ვიხრით მათი ნათელი ხსოვნის წინაშე, ვინც საკუთარი სიცოცხლე სამშობლოსთვის გაიღო მსხვერპლად. 1918 წლის 26 მაისს ქართველებმა მტკიცედ და ხმამაღლა მთელი მსოფლიოს გასაგონად ვთქვით, რომ გვსურს, კვლავ დავდგეთ ერად სხვა ერთა შორის. პირველი დამოუკიდებლობა, მართალია ხანმოკლე, მაგრამ ჩვენი შემდგომი განვითარებისთვის ფუძემდებლური მნიშვნელობის აღმოჩნდა. ამ მცირე დროში ქართველმა ხალხმა და მისმა

შეხვედრა მსხვილ მეცნობლე ფერმერებთან

24 მაისს კანზასის უნივერსიტეტის სპეციალისტები დედოფლისნეაროს მუნიციპალიტეტში მოქმედ მსხვილ მეხორბლე ფერმერებს შეხვდნენ. მათ შეისწავლეს გვალვაან ზონებში არსებული პრობლე- დაავადებების ანალიზი, რათა სამომა- ვლოდ მოხდეს არსებული პრობლემების გადაჭრის გზების და მიდგომების შემუშავება მოსავლაანობის გაზრდის მიზნით.

მები და ხორბლის დაავადებების დიაგნოსტიკისთვის ნათესებიდან ნიმუშებიც აიღეს. შეგახსენებთ, საქართველოში სამუშაო ვიზიტით იმყოფებიან აშშ-ის კანზასის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები, რომლებიც ხორბლის ღირებულების ჯაჭვის მოკვლევას ატარებენ. ვიზიტის მირითადი მიზანია ხორბლის მოსალიანობისა მარიბობისა და კატეგორიის და სფეროს სპეციალისტი, მათ შორის აგრონომი, ფიტოპათოლოგი, ეკონომისტი.

ვიზიტი დაგეგმილია ხორბლის წარმოებისა და ღირებულების ჯაჭვის შეფასების პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს კანზასის უნივერსიტეტი **USDA**-ის დაფინანსებითა და „მომავლის ორგანიზაციის“ აღალოებრივია მსართაშორისო



როდის აღმაგონია არხილოსკალოს სანატორიუმი?

გასულ წელს ხელისუფლებამ სსიპ „კურორტების განვითარების სააგენტო“ დააფუძნა. ახალი სახელმწიფო უწყება მიზოვებული კურორტების აღდგენა-განვითარებაზე და ახალი ზონების შემუშავებაზე ყოველწლიურად იზრუნებს და ეს მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია იქნება. როგორც გაირკვა, სააგენტო პირველივე წელს აპირებს დედოფლისხმარის სოფელ არხილოსკალოში მდგრად ნეიტროლოგიური სანატუროუმის აღდგენის საკითხი შეისწავლოს. პირველ რიგში უნდა გაირკვეს, არის თუ არა მოთხოვნა ამგვარ მომსახურებაზე და რამდენად მომგებიანი იქნება სახელმწიფოსთვის ამ მიმართულების განვითარება.

ახლადშექმნილმა სააგენტომ გასულ კვირას პარლამენტისა და რეგიონების გუბერნატორებს კურორტების შესანავლის პირველი ფაზის შედეგები გააცნეს. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, პირველივე ეტაპზე შესასწავლი იბიექტების სიაში არხილისკალოს ნეიტროლოგიური სანატორიუმიც მოხვდა. ჯამში, სიის პირველ ნაწილში ქვეყნის მასშტაბით 32 ობიექტია დასახელებული. (ცნობილია ისიც, თუ რომელი კომპანია შეისწავლის რეგიონებში პირველ ფაზაში მოხვედრილ იბიექტებს. „კურორტების

განვითარების სააგენტოს“ დაკვეთით კვლევები **EY-მ;** **BDO-მ;** კოლიერსმა და ვერიტას ბრაუნმა მოამზადეს, ამ კვლევების ღირებულება საერთო ჯამში 2.3 მილიონი ლარია. სახელმწიფო შესყიდვების ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში მითითებულია კონკრეტული ტურისტული ზონების ჩამონათვალი, რომლის ტექნიკურ-ეკონომიკური და-საპუთების გეგმაც მათ მიერაა შემუშავებული.

არხილოსკალოს სანატუროების კო-ლიერს ჯორჯია შეისწავლის, რაზეც 114 800 ლარი დაიხარჯება. თუ დასკვნა დადგებითი იქნება და სახელმწიფოსთვის ნეფროლოგიური კურორტის აღდგენა რენტაპელურად ჩაითვლება, სავარაუდოდ, არხილოსკალოში გრან-იოზული პროექტის განხორციელება



შემოსავლის წყარო გაუჩინდება

თავისებური კლიმატური პირობები, რომელიც ძირითადი სამკურნალო ფაქტორია, განსაზღვრავს კურორტი არხილოსკალოს პროფილს - ამ ტერიტორიაზე, 500 მეტრის რადიუსში, მზის სხივებს სამკურნალო თვისებები გააჩნია. XX საუკუნის შუა წლებიდან აქ მკურნალობდნენ თირკმელების ან-თებით დაავადებებს. კლიმატი მშრალი და სუბტროპიკულია, ზამთარი - რბილი, თითქმის უთოვლო; ზაფხული - ძლიერ თბილი, მშრალი. დამახსახათებელია მზიანი დღეები. ზაფხულის

ქერიოდში, განსაკუთრებით შუადღის
საათებში, ჭარბობს ხეობის სუსტი
მშრალი ქარები, რომლებიც ჰაერის
მაღალი ტემპერატურისა და დაბალი
ტენიანობისას ხელს უწყობენ კანიდან
ინტენსიურ აორთქლებას.

არხილოს კალო - ველის კლიმატური კურორტი, მდებარეობს მუნიციპალური ცენტრიდან 35 კმ-ის დაშორებით, ივრის ზეგანის (შირაქის ველი) აღმოსავლეთ ნაწილში, ვაკე-ბორცვებიან ადგილზე. მისთვის დამახასიათებელია ტყეველიანი და ველიანი ლანდშაფტი, უამრავი ვენახით.

პრეზენტაცია და ტურარეიტი ზემო მაჩვანეობის

სოფელ ზემო მაჩხანში სპეცია-
ლისტებმა, რამდენიმე კვირის წინ,
ერთ-ერთ ფერმაში ბრუცელოზი და-
აღგინეს. როგორც გაირკვა, დასნებო-
ვნებული რძისა და რძის პროდუქტების
მოხმარების შედეგად ადამიანების
დაინფიცირებაც მოხდა. დედოფლისნ-
ყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ცენტრში გაზეთ „შირაქს“ უთხრეს,
რომ ბრუცელოზით ამ ფერმიდან სამი
ადამიანი დასნებოვნდა. არცერთი
მათგანი დედოფლისნებაროს მკვიდრი
არ არის, შესაბამისად დაავადებულთა
და მათი მკურნალობის შესახებ დეტა-
ლებს საგარეჯოს ჯანდაცვის ცენტრი
სხავლობს. ამას გარდა, ერთ-ერთ და-
ავადებულ მამაკაცს პარალელურად
დაუდგინდა ტულარემია, რომელიც
ტკიპადად ვრცელდება.

მარიტა გრეავილი: „მო-
ქალაქეები დედოფლის სწყაროს მუნი-
ციპალიტეტის მაცხოვრებლები არ
არიან, ჩევნ მხოლოდ იმიტომ მივიღეთ
ინფორმაცია, რომ შემთხვევა სოფელ
ზემო მაჩხაანის ტერიტორიაზე მოხ-
და. ოჯახი ხორბალს ამუშავებდა და
სავარაუდოდ იქიდნ, სასუნთქ გზებში
მოხვდა ტკიპა, რომელიც იწვევს ტუ-
ლარემიას. მამაკაცს დიდი ხნის გან-
მავლობაში აღნიშნებოდა პრევონია,
მაღალი სიცხით. თბილისიდან ჩამო-
ვიდნენ სპეციალისტები და თბილისის

ინფექციურ საავადმყოფოში გადაიყვანება. იქ დადასტურდა ტულარემია, ეს საკმაოდ იშვიათი დაავადებაა. ახლაც მკურნალობს და მათი დაკვირვების ქვეშ იმყოფება. ამ ყველაფრის პარალელურად, სისხლის ანალიზმა და-



მოიხსეარეს დაავადებული რძე და რო-
დის შეფრა ორგანიზმში ბრუცელოზი. ამ
შემთხვევების გამო ზემო მაჩვანეობის
პრევენციული ორნისძიებები სურსა-
თის ეროვნულმა სააგენტომ გაატარა,
რაიონული ჯანდაცვის ცენტრის სპე-

ლა დაავადებული რძის მოხმარების შემთხვევა. ზოგადად, ბრუცელოზი აუდუღარი რძისგან ვრცელდება, ასევე დიდი რისკია ყველშიც. სამივე მათგან-მა ბრუცელოზის მკურნალობაზე უარი განაცხადა. რადგან ისინი საგარეჯოს მაცხოვრებლები არიან და ზემო მაჩხანში უბრალოდ მუშაობენ, ჩვენ საგარეჯოს ჯანდაცვის ცენტრს ვაცნობეთ და მათ დაევალათ სამივე პაციენტის მონიტორინგი. მაგრამ, თუკი მათ სურვილი არ აქვთ, იძულებით ვი-რავინ უმჯობესებს”.

სურსათის ეროვნული სააგენტოს
საზოგადოებასთან ურთიერთობის მე-
ნეჯერი თეა შველიძე „შირაქს“ ეუბნე-
ბა, რომ დედოფლისწყაროში ბრუცე-
ლობის კვლევა პირუტყვში მხოლოდ
ერთხელ ფიქსირდება და ამ შემთხვე-
ვაში შედეგი უარყოფითი იყო. ტულა-
რემის კვლევა კი მათი ფუნქცია საერ-
თოდ არ არის.

საბოლოოდ, პასუხებაუცემელიდარ-
ჩა კითხვა — დასნებოვნებულ საქო-
ნელთან გატარდა თუ არა შესაბამისი
ლონისძიებები სახელმწიფო უწყებების
მხრიდან. თუმცა, მარიეტა გონავი-
ლი ხაზს უსვამს, რომ ბრუცელოზის
დიაგნოზი ნამდვილად დაფიქსირდა
და კულევა „დაავადებათა კონტროლის
ცენტრი“ ჩაატარა და არა სურსათის
საკუნძოობრივო.

არის თუ არა ჩუთქვავილას აფეთქება დაღოვლის შესაროვი?

ჩუტყვავილას დიაგნოზით დაგვაა-
ნებული მიმართვიანობის გამო ცოტა
ხნის წინ შიდა ქართლში 4 ნლის ბიჭი
გარდაიცვალა. გაზეთი „შირაქი“ დაინ-
ტერესდა, რა ვითარებაა ამ მხრივ დე-
დოფლისნებაროს მუნიციპალიტეტში.
როგორც ირკვევა, ჩუტყვავილას გავრ-
ცელების რამდენიმე შემთხვევა თითქ-
მის ყოველთვიურად თქმისირთება.

მიმდინარე წლის დასაწყისში ჩვენს
მუნიციპალიტეტში უფრო ბევრი შე-
მთხვევა აღირიცხა, აპრილში შედარე-
ბით ნაკლები, ჩუტყვავილას მხოლოდ 5
შემთხვევა რეგისტრირებული. მაისის
თვის დაზუსტებული ცნობები 10 ივნი-
სისთვის იქნება ცნობილი, თუმცა, უკვე
ცნობილია, რომ სამუალოდ 30-მდე შე-
მთხვევა ქალაქ დედოფლისწყაროშია,

ვირვებას და რეკომენდაციებს უზია-
რებს.

მარიეთა გონავილი: „გასულ
თვეს უფრო ნაკლები იყო, მანამდე
და შემდეგ უფრო მეტი. მაისშიც მო-
მატებულია მაჩვენებელი, მაგრამ ეს
ზუსტი მონაცემები არ არის, რადგან
მშობელთა დიდი ნანილი საერთოდ არ
მოგვმართავს და აღურიცხავი გვრჩე-
ბა შემთხვევები, ისე გადააქვთ ეს ინ-
ფექცია. მაისის საბოლოო მონაცემები
ჯერ დამუშავებული არ გვაქვს, მაგრამ
სოფელ ზემო მაჩხაანის საბავშვო ბალ-
ში იყო ერთიანი შემთხვევა, სადაც 15
ბავშვი აღირიცხა, დაიკეტა ეს ჯგუფი
და გატარდა სათანადო ლონისძიებები.
რაც მე დედოფლისწყაროში ვმუშაობ,
ჩუტყვავილას აცრების სახელმწიფო
პროგრამა არასოდეს ყოფილა დაფი-
ნასებული, რომ ვაქცინაცია უფასო
ყოფილიყო. თუმცა, კერძო შემთხვევე-
ბში, მშობელს შეუძლია ბავშვი აცრას.
ზოგადად შემიძლია ვთქვა, რომ
აცრისგანაც თავს იკავებენ, რადგან

ფასიანია და ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის. სხვა ვაკეცინები კი ჩურავილას კომპონენტს არ შეიცავს. ზოგადად, ჩურავილა აგრძელებული დაავადება არ არის, თუ მმობელი ყურადღებით იქნება, გართულებები არ უნდა მოჰყენეს. გამონაყარის გაჩენისთანავე ექიმს უნდა მიმართონ. მაგრამ, ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია პატარა მიზეზმაც გამოიწვიოს ვითარების დამძიმება. ყველაფერი ინდივიდუალურია და კონკრეტულ ორგანიზმზე დამოკიდებული. პრატეციული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჩურავილა არც ისე უმტკიცნეულოდ მიმდინარეობს. პაციენტები ძაინც სტაციონარში აღმოჩნდებიან ხოლმე და გადასხმებს საჭიროებენ. კრიტიკული პერიოდია 9-10 დღის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ გართულება აღარ გხვდება.

ବ୍ୟାକ୍ ପରିଚୟ

ზოგადი სამსახურის მიერ მიღებული მუნიციპალიტეტების სამსახურის მიერ მიღებული

24 მაისს, სიღნალის რეგიონის სოციალურად უმნეოთა თერაპიის კავშირ თემ „ქედელში“ პროექტის „დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობების გაძლიერება სიღნალის მუნიციპალიტეტში“, ნარგება - გამოცდილების გაზიარება გაიმართა. შეხვედრას სიღნალის მუნიციპალიტეტის მერი მალხაზ ბეგიაძევილი, მაჟორიტარი დეკუფატის ბიუროს, საკრებულოს და კახეთის მუნიციპალიტეტის მერიის ნარმობადგენლები ესწრებოდნენ, რომელთა შორის იყვნენ დედოფლისნებაროს მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსი დოდო ხუნაძევილი, ამავე სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი ლალი ზურაშვილი და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი კობაქურციკვილი.

ლონისძიება გახსნა და დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა თემი ქედელის ხელმძღვანელმა ლალი ხან-დოლიშვილმა. მცირე შესავლის შემდეგ, მან სიტყვა დაუთმო რუსუდან ტუშურს - გაეროს განვითარების პროგრამის ადამიანის უფლებების პროექტის მენეჯერს (UNDP), ლონისძიებაზე საკუთარი აზრი დააფიქსირა და ასევე სიტყვით გამოვიდა მალხაზ ბეგიაშვილი - სილნალის მუნიციპალიტეტის მერი.

პროექტის წარდგენა და პრეზენტი-
რებას ლალი საცდოლიშვილი უძღვე-
ბოდა, რომელმაც პროექტის მიზნებზე,
ამოცანებსა და საკანონმდებლო ჩარჩო-
ზე ისაუპრა. „2006 წელს საქართველო
გაეროს კონვენციის შეუერთდა შეზღუ-
დული შესაძლებლობის მქონე პირთა
უფლებების დაცვის შესახებ (UNCRPD),
გარდა ამისა, 2013 წლის 26 დეკემბერს
საქართველოს მიერ გაეროს კონვენციის
რატიფიცირება მოხდა, 2014 წლის 14



რა არის პერსონალური ასისტენციის პროგრამა?

1) რეგულარული ასისტირების მომ-
სახურება - ასისტირების ტიპი, რომელიც
გაეწვევა ფიზიკური, სენსორული, ასევე
მსუბუქი ან საშუალო გონიერივი შეზღუ-
დვის და ფსიქოსოციალური საჭიროების

2) Կառավարությունը պահպանում է մաս-

ბავშვის ფიზიკური, ფსიქიკური და ემოციური განვითარებისთვის სკოლა-დელ ასაკს სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ის სამ პერიოდს მოიცავს: უძრობის (3-4წ.), საშუალო (4-5 წ.) და უთრობის (6-7წ.).

სკოლამდელის ფსიქოლოგიური თავისებურებანი ცხოვრების იმ პირობებში ფორმირდება, რომლებსაც უფროსები უქმნიან. ის მუდმივად საჭიროებსა ღერსსა და სიყვარულს. მისთვის ჯერ-ჯერობით არ არსებობს მივალეობათა განსაზღვრული წრე, ამიტომ, მხოლოდ თავისთვის საინტერესო და მიმზიდველი ქმედებით არს დაკავებული. დროის უმეტეს ნაწილს უთმობს სხვადასხვა ბავშვურ თამაშებს, ზღაპრებისა და მოთხოვნების მოსმენას, გატაცებულია ხატვით, ძერნვით და კონსტრუირებით, სუჟექტურ-როლური თამაშებით, რაც ხელს უწყობს ბავშვის ფსიქიურ განვითარებას. სწორი აღზრდის პირობებში, სკოლამდელი ასაკის ბავშვი, იწყებს მისთვის ახალი - სასწავლო და შრომითი მოღვაწეობის ფორმების ცალკეული ელემენტების თანდათანობით დაუფლებას, თუმცა, მათი ძირითადი და საბოლოო ფორმირება მომდევნო ასაკობრივ პერიოდებში უნდა მოხდეს.

ამ ასაკის ბავშვი მოძრავია, ემოციური, და ადგილად ექცევა მიღებული შთაბეჭდილების ზემოქმედების ქვეშ. მისი ქცევა მნიშვნელოვანილად სიტუაციურია, ე.ი მოცემული მომენტის ზეგავლენით განისაზღვრება. მოცემულ ასაკში არსებითი ძვრები შეინიშნება ბავშვის პიროვნულ განვითარებაშიც: ის იწყებს სა-

ԱՀԳԻՒՆԵ ԿԱՇՄԱՒՆ

კუთარი თავის შეცნობას, განსაზღვრავს
საკუთარ ადგილს სხვა ადამიანებთან
მიმართებაში, თავის დამოკიდებულებას
მათთვე თა პირიდომ მას უარისტის.

სახურება - ასისტირების ტიპი, რომელიც გაეწევა მძიმე და ღრმა გონიეროვი შეზღუდვის, მძიმე ფიზიკური, ასევე მრავლობითი შეზღუდვის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს და მოითხოვს სპეციალიზებულ/დამატებით მომზადებას - სატრენინგო კურსის გავლას.

ჰერსონალური ასისტინგბის ზოგად
და სპეციალიზებული მოსამზადებელ
სატრენინგო კურსების კრიტერიუმები
ბს ადგენს და ითანხმებს საქართველოს
ოკუპაციული ტერიტორიებიდან დევნი
ლთა, შრომისა და სოციალური დაცვის
სამინისტრო.

ლალი ხანდოლშვილმა ასევე ისაუბრა
პროექტში განსახორციელებელი
აქტივობებზეც. ესენია პროექტის ფართ
გლებში ახალი სერვისის - პერსონალური

დელთან”, რაც მოიცავს დახმარების ხელის განვდას, როგორც გამოცდილების გაზიარების, ასევე ფინანსური კუთხის თაც. საკუთარი გამოცდილება გაუზიარებული გერებილ საზოგადოებას თემი „ქედელის“ მაცხოვრებელმა, გიორგი კირთაძემ. რა შეეძლო, რა უნარებს ფლობდა ის ამ თემში მოსვლამდე და რა შესაძლებლობებს ფლობს ის ახლა, როდესაც თემში სხვადასხვა აქტივობასა თუ საქმეშია ჩართული. მას ძალიან უყვარს სიმღერა რასაც უკავშირდება მისი დიდი ოცნება: საკუთარი რესტორნის ფლობა და აპრენდის სიმღერა. წარდგენის შემდეგ ლალი ხანდოლიშვილმა სხვადასხვა მუნიციპალიტეტებს წარმომადგენლების გადასცა მომზადებული ფოტოლაბორატორის გამოფენა „ჩვენ 30 ამბავის“ შესახებ გამოფენა „ჩვენ 30 ამბავი“ რამდენიმდე დღის განმავლობაში დედოფლისტინაროვანი მუნიციპალიტეტშიც იყო გამოფენილ და საკმაოდ კარგი გამოხმაურებაც ჰქონდა.

„შეცვედრის შემდეგ მოეწყო ექსკურსისა „ქედელმი“, სადაც სხვადასხვა მუნიციპატია ლიტეტებიდან შეკრებილმა გადაწყვეტილობის მიმღებმა პირებმა მოინახულო

Հյուսութեան առաջարկ առաջարկ առաջարկ

A black and white photograph capturing a moment between two women. In the foreground, the back of a woman's head and shoulders are visible; she has dark hair and is wearing a dark jacket. She is looking towards a second woman who is positioned further down the hallway. This second woman is smiling warmly at the camera. She is wearing a light-colored, short-sleeved blouse and dark trousers. In her hands, she holds a book with a prominent title page that reads "Russia" and "US". The background features a wooden-paneled ceiling and walls, suggesting an indoor setting like a library or bookstore. To the right, there are shelves filled with books and some informational signs. One sign is clearly legible, reading "HUMAN RIGHTS AAI". Another sign includes the letters "FP". The lighting is soft, creating a candid and intimate atmosphere.

საცხობი, ხელსაქმისა და არტ თერაპიისა
სახელოსნოები, ბოსტანი, სადაც თემში
მცხოვრებლებს საკუთარი ხელით მოჰყა-
ვთ ნატურალური პროცესები.

პროექტი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მცირე გრანტების ფარგლებში ხორციელდება და რამდენი-მე თვეს მოიცავს.

შეგასხვნებთ, რომ „ქედელი“ არის ადგილი, სადაც ადამიანებს ერთმანეთი უყვართ, ერთმანეთზე ზრუნავენ და ერთმანეთის მაღლეორები არიან. ბნელი უიმედო, 1990-იანი წლების ბოლოს მნიუდებოდა ახალი იდეა, დაარსებულიყო საცხოვრებელი ერთობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, სადაც მათ ექნებოდათ ღირსეული თანაცხოვრების შესაძლებლობა. სოციალურ-თერაპიული ოემი ქედელი, მენტალური პრობლემების მქონე ზრდასრულ პირთათვის, 1999 წელს დაარსდა სიღნაღმის რაიონის სოფელ ქედელში. თემის უპირველეს მიზანს წარმოადგენდა იმ დროისთვის გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფი შმგ პორებისთვის სიცოცხლის შენარჩუნება და ადამიანის ლირსების შესაფერის ოჯახური გარემოს შექმნა. მთავარი ამოცანები იყო მათი შესაძლებლობების გამოვლენა, უნარების განვითარება, სახელობრ საქმიანობების დასაცავლა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

დღეს ქედელში 3 სახცოვრებელი
სახლია 28 მაცხოვრებლით და 17 უერთ-
გულებით თანამშრომლით. მრავალი წლის
განმავლობაში ქედელმა უამრავი მეგო-
ბარი, მხარდაჭმური და გულშემატკივარი
შეიძინა. ერთმანეთზე ზრუნვით, მაღლიე-
რებით, სიყვარულით ცხოვრობენ და
მიისწრაოთან ასანითარების უნი".

(ხატოვანი) აზროვნების საფუძველზე ვა-
თარდება შემოქმედებითი ნარმოსახვაც;
ბავშვი ეჩვევა მოვლენათა შემჩნევას,
ფანტაზიურობას და ახალი, ორიგინა-
ლური ნარმოსახვითი სახეების შექმნას.
ამ ასაკის ბოლო ჰერომში ჩნდება შე-
მეცნების ახალი ფორმები: დაკვირვების,
მიზეზ-შედეგობრივი მსჯელობისა და
დასკვნების ჩამოყალიბების, აგრეთვე,
ნებელობითი დამასხვოვრების უნარი. ყო-
ველივე ეს ამბადებს ბავშვს სისტემური
საკოლონ-სასწავლო ამოცანების შესრუ-
პულისად.

ოჯახური აღზრდის პროცესში, ბა-
ვშვის სოციალური გრძნობებისა და
ცნობიერების სახეობრივი ფორმის მი-
ზანმიმართული სრულყოფილებისათ-
ვის, აუცილებელია სკოლამდელი ასაკის
უნიკალური ფსიქოლოგიური თავისე-
ბურებების გათვალისწინება. შეიძლება
ითქვას, რომ ეს იქნება ამ ასაკის „ნილი“
პიროვნების ფსიქიკური განვითარების
ერთიან ცხოვრებისეულ გზაზე. ამისათ-
ვის კი, ერთობ სასარგებლო იქნება, თუ
მშობლები სერიოზულად მოეკიდებიან
ხსენებული ასაკის ბავშვისათვის ესო-
დენ აქტიურ და მიმზიდველ თამაშებს.
ასეთ დროს, მშობლების დამოკიდებუ-
ლება უჯვალესია პარტნიორულ და არა
მენტორულ ხასიათს ატარებდეს. ბავშვს
დიდ ბედნიერებას მიაინჭებს თუ აგრძ-
ნობინებთ, რომ მის პიროვნებას ისევე
როგორც მის გატაცებებს, შესაბამისი
გულისხმიერებითა და პატივისცემით
ეპყრობით.

ფსიქოლოგი
პასივ გიგრლაზვილი

„ხელოვნების გარეშე საკუთარი თავი ვარ ნარმომიდგანია“



ზემო მაჩვანეში მცხოვრები 16 წლის ნინო მარტყოფლიშვილი ბავშვობიდან ხატავს. სამომავლოდ, პროფესიული არჩევანიც მხოლოდ ხელოვნების სფეროში წარმოუდგენია, რადგან ამის გარეშე საკუთარ თავს ვერ ხედავს.

ნიღო მარტყოფლიშვილი: „ბავშვობიდან გატაცებული ვიყავი ხატვით. საათობით შემექლო არაფრისოვის მიმეტცია ყურადღება, ვმჯდომიყავი და მეხატა. რა თქმა უნდა, თვითიდან ყველა ბავშვი საყვარელ პერსონაჟს ხატავს, მეტ ასე დავისწეუ. ხატვა რომ დავიწეუ, წერაც კი არ ციცოდო. სახლში უამრავი წიგნი მქონდა ფერადი ილუსტრაციებით, ნახატების თვალიერებისას ვცდილობდი გადამეხატა. ვსატავდი ფერიებს, ფერად სახლებს, რადგან არ მომწონდა ჩემს სოფელში გაუფერულებული ქუჩები. ვაკეთებდი ბატარა ჩანახატებს, სადაც სხვადასხვა ნივთი იყო გაცოცხლებული.

ყოველთვის მიყვარდა საჩუქრები და მისი გაცემაც, ფერადი ქალალდებით წითელ ვარდებს ვაკეთებდი და ოჯახის წევრებს, ან ჩემს მეზობელს ვჩუქრები, რომელიც ყოველთვის ბედნიერი სახით მართმევდა და მეუბნებოდა, რომ კარგ ხასიათზე

დავაყენე და ჩემს ყველა საჩუქრას ინახავდა. ასევე ყველა ახლობელს დაბადების დღეზე ვაძლევდი ჩემს ნახატს თავისი მისალოცი წერილით. ვხედავდი, რომ ჩემს საყვარელ ადამიანებს ეს აპენინერებდა და უფრო მეტად მინდოდა მეხატა. ყველაზე დიდი თანადგომა მაინც მშობლებისგან მაქს დღემდე. ისინი ყოველთვის ჩემს გვერდით არიან და ხელს მიწყობენ ნელ-ნელა განვითარებაში.

- რამ იქონია გავლენა და როგორ განვითარე ეს შესაძლებლობა?

- ჩემს გარშემო არიან ადამიანები, მაგალითად ბელობისიდე, რომელიც ჩემი ნათესავია და მის ნამუშევრებს ბავშვობიდან თვალს ვადევნები. ასევე, ნიკო ფიროსმა-

გან მის გარეშე არ შემიძლია და ყველასგან განმარტობით ვხატავ. თუ ცუდ განწყობაზე ვარ, ხატვა ძალიან მებმარება. ნახატზე ყოველთვის ვხედავ იმ ემოციას, რაც შესრულების დროს მქონდა.


ყოველ თვის



ნის სოფელთან ახლოს ვცხოვრობ, მუზეუმშიც ძალიან ხშირად მივდოდი. ამ ყველაფერმა გავლენა იქონია ჩემზე. შეუძლებელია უყურო ამ საოცარ ნახატებს და თავად არ გაგიჩნდეს ხატვის სურვილი. როდესაც ბელამ ბავშვების მომზადება დაიწყო, მეც



ვერ ვხატავ, რადგან გადატაციორთული გრაფიკი მაქს და როცა თავისუფალი დრო გამომიჩნდება, აუცილებლად ხატვას ვუზომობ. განწყობაც, რათქმა უნდა, უმნიშვნელოვანესა, რადგან შეიძლება ჩემი ცუდი განწყობით



შევურთდი. ნახატი გამან უფრო გააღვი ვი ვა ჩემი ხატვის სიყვარული, მას ა ვ ლა ფერების შეზავება, ჩრდილები და დეტალები. შემდეგ მირზანში დავინი იქნება და ასევე მნიშვნელოვანია მუსიკა, რომელსაც ხასათის მიხედვით ვარჩევ.

მიზიდაც ფოტოსელოვნებაც. მიყვარს არამარტო ლამაზი მომენტების და ხედების, არამედ იმ მნარე რეალობის გადალებაც, ლასაც ადამიანები თავისი

ზაანში დავინთ ქუჩების მოხატვა, რაც ჩემი ოცნება იყო. უბედინერესი ვიყავი, რადგან შემექლო გაუფერულებული ქუჩების გალამზება, რომელიც ბავშვობაში არ მომწონდა.

- ყოველთვის შეგიძლია ხატო, თუ ამისათვის შესაბამისი განწყობა და გარემო საჭირო?

- ბუნება ჩემი განუყოფელი ნაწილია. კარგ ამინდში მივდივარ სადმე მშვიდ ადგილას, ვრთავ მუსიკას, რად-

რის შემდეგაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან შესაძლებელი გახდება დარბაზის რეაბილიტაციაზე თანხა დაიხარჯოს. **გიორგი ცისკარაშვილი:** „2012 წლის „სარემონტო კანტორის“ მიტოვებულ შენობაში შევედით, ქირას ვიზდოდით, შემდეგ გაპარტახებული შენობა დავასუფთავოთ და დღემდე ვვარჯიშობთ. ახლა ყონული დამრა, შევძლებთ ჩემი სივრცე გვექონდეს და მერიაც გვერდში დაგვიდგეს.“



უშუს გუნდს საკუთარი დარბაზი ექიმა



დაარსების დღიდან დედოფლისწყაროს უშეს გუნდს სავარჯიშო სივრცე არ აქვა, ათ წელზე მეტია ისინი ამორტიზიზებულ, მიტოვებულ შენობაში ვარჯიშობენ, სადაც წყალი ჩამოდის. ინვენტარიც ძირითადად შემინის და პირობები გაიუმჯობესეს. გასულ კვირას ეკონიმიკის სამინისტრომ შენობა და მისი მიმდებარე ტერიტორია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს გადასცა,

რის შემდეგაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან შესაძლებელი გახდება დარბაზის რეაბილიტაციაზე თანხა დაიხარჯოს. **გიორგი ცისკარაშვილი:** „2012 წლის „სარემონტო კანტორის“ მიტოვებულ შენობაში შევედით, ქირას ვიზდოდით, შემდეგ გაპარტახებული შენობა დავასუფთავოთ და დღემდე ვვარჯიშობთ. ახლა ყონული დამრა, შევძლებთ ჩემი სივრცე გვექონდეს და მერიაც გვერდში დაგვიდგეს.“

იყიდება!

იყიდება სახლი სოფელ ზემო მაჩვანეში არმათიონის ეკლესიასთან. 600 კვ.მ, მიმდებარე ფართობით და ბალი, 135 კვ.მ საცხოვრებელი ფართო, ორი სარდაფით - საერთო ფართობით 60 კვ.მ. აგრეთვე, 40 კვ.მ სამუშაო დანიშნულების ნაგებობით. ფასი შეთანხმებით. საკონტაქტო:

555 39 07 56; 568 150 250;

ა გ ი ნ დ ი

ორშაბათი 29.05 საშაბათი 30.05
დღე ღამე ღამე

28 ° 16 ° 28 ° 16 °

ოთხშაბათი 31.05 დღე ღამე

28 ° 15 ° 26 ° 15 °

ხუთშაბათი 01.06 დღე ღამე

26 ° 15 ° 26 ° 15 °

პარშაბათი 02.06 დღე ღამე

26 ° 15 ° 26 ° 15 °

შაბათი 03.06 დღე ღამე

26 ° 15 ° 26 ° 14 °

კვირა 04.06 დღე ღამე

26 ° 14 °

გამოცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა გარემონტარი

რედაქტორი ილია გარემონტარი

წერილში მოყვნილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს ავტორი.

სარდაფით კოლეგია: შუშუნი ყარაბაშვილი (უურნალისტი); ელია ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა გეგენავალი (კორექტორი); ნათელა გოგია (ფოტოგრაფი); ბიბი გარებაშვილი (მომსახურებული); გიორგი ცისკარაშვილი (ფოტოგრაფი).

გაზიარებული გამოცემა იმპრენტება შ.შ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქტორის მისამართია:
ქალაქ დუშეთის წყალმაზის ქ. სამართლის მიერ, № 6014-468.

0356 22 22-85;

598 72-18-72 (დოკუმენტი)

რეგისტრირებულია
დედოფლის წყალმაზის ლინიის
სასამართლოს მიერ,
№ 6014-468.

გაზიარებული გამოცემა შემდგრადი წელიწლი - 20 ლარი